საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/848
03.06.2026

ბრძანება

848-01-4-202606031544

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოსთვის მოთხოვნილი ინფორმაციის განმეორებით მიუწოდებლობის გამო შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსისთვის“ (ს/ნ: 405543470) ჯარიმის დაკისრების შესახებ

1. ფაქტობრივი გარემოებები

1.1 საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2025 წლის 10 ნოემბრის N04/1320 და 2026 წლის 20 აპრილის N04/604 ბრძანებების შესაბამისად სააგენტოში მიმდინარეობს საქმის მოკვლევა შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ (ს/ნ: 405543470) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11^3 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით;

1.2 საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის მიზნით, სააგენტომ 2026 წლის 16 აპრილის N02/2469 წერილით მოპასუხე შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსისგან“ გამოითხოვა ინფორმაცია. აღნიშნული წერილი ადრესატს ჩაბარდა 2026 წლის 21 აპრილს. მოპასუხეს სააგენტოს მიერ განსაზღვრულ ვადაში არ წარმოუდგენია გამოთხოვილი ინფორმაცია;

1.3 2026 წლის 30 აპრილს სააგენტომ იმავე ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ ხელმეორედ გაუგზავნა წერილი (N02/2814) შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470). წერილი მხარეს ჩაბარდა 2026 წლის 4 მაისს, თუმცა ინფორმაცია არც ამ შემთხვევაში წარმოდგენილა სააგენტოში;

1.4 შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 14 მაისის N04/745 ბრძანებით შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470) დაეკისრა ჯარიმა მოთხოვნილი ინფორმაციის მიუწოდებლობის გამო;

1.5 აღნიშნული ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის მე-3 პუნქტით, კომპანია შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470) დაევალა სააგენტოს მიერ 2026 წლის 16 აპრილის (N02/2469) და 30 აპრილის (N02/2814) წერილებით მოთხოვნილი ინფორმაციის 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში წარმოდგენა;

1.6 მოპასუხეს ბრძანება ჯარიმის დაკისრების შესახებ (წერილის რეგ. N02/3312; 15.05.2026) ჩაბარდა 2026 წლის 18 მაისს. ამასთან, დამატებით გაეგზავნა წერილი (N02/3331;

15.05.2026) და განემარტა, რომ სააგენტოსთვის, ზემოთ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, უნდა წარმოედგინა N02/2469 და N02/2814 წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია და მიეთითა, რომ ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან. N02/3331 წერილი მოპასუხეს ჩაბარდა 21 მაისს. შესაბამისად, სააგენტოსთვის ინფორმაციის წარმოდგენის ბოლო ვადა იყო 2026 წლის 29 მაისი.

1.7 სააგენტოს ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტიდან მიღებული შეტყობინების თანახმად, მ/წ 2 ივნისის ჩათვლით პერიოდში, შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470) სააგენტოში რაიმე სახის კორესპონდენცია არ წარმოუდგენია.

2. ნორმატიული რეგულირება

2.1 ,,კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

2.2 „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის 1-ელი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია მოთხოვნილი ინფორმაციის განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს დააკისროს ჯარიმა ამ კანონის 32-ე მუხლის შესაბამისად.

2.3 „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ელი პუნქტის, ასევე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის მისთვის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის ან სააგენტოსთვის არასწორი ან არასრული ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 3 000 ლარის ოდენობით.

2.4 „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეორე პუნქტის, ასევე, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად,

სააგენტოს მიერ ხელახლა განსაზღვრულ ვადაში ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა ხუთი ათასი ლარის ოდენობით.

2.5 „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ჯარიმის დაკისრება პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებისგან.

3. სამოტივაციო ნაწილი

3.1 შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470) 2026 წლის 15 მაისის N02/3312 და N02/3331 წერილების პასუხად არ წარმოუდგენია არავითარი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, არ მოუთხოვა ინფორმაციის წარმოდგენის ვადის გაგრძელება და არ შეუტყობინებია სააგენტოსთვის ინფორმაციის მოუწოდებლობის რაიმე შესაძლო საპატიო მიზეზის/მიზეზების არსებობის თაობაზე.

3.2 სააგენტო აღნიშნავს, რომ ინფორმაცია გამოთხოვილია „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმადაც სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს ნებისმიერი დოკუმენტი/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური), რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და ხელს შეუწყობს საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების დადგენას. აღსანიშნავია, რომ სააგენტოს 2026 წლის 16 აპრილის (N02/2469) და 30 აპრილის (N02/2814) წერილებში მითითებულია ყველა ის მონაცემი, რომელთა მითითებაც მოთხოვნილია „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე.

3.3 შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსი“ (ს/ნ: 405543470) ვალდებული იყო წარმოედგინა სააგენტოსთვის საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენა/დაზუსტებისათვის საჭირო და სააგენტოს შესაბამისი წერილებით მოთხოვნილი ინფორმაცია.

3.4 სახეზე არ არის „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მხარის დასაბუთებული განცხადება, მოთხოვნილი დოკუმენტის/ინფორმაციის არქონის შესახებ.

3.5 ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მეორე პუნქტის, აგრეთვე, „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს

თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-11 მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ჯარიმის დაკისრების მიუხედავად, სააგენტოსთვის ინფორმაციის მის მიერვე განსაზღვრულ ვადაში მიუწოდებლობის შემთხვევაში იურიდიულ პირს დაეკისრება ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, 32-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების, ასევე, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სააგენტომ დაადგინა:

1. დადასტურდეს შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსის“ (ს/ნ: 405543470) მხრიდან სააგენტოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის განმეორებით მიუწოდებლობის ფაქტი;

2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470) დაეკისროს ჯარიმა 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

3. ბრძანება მისი მიღებისთანავე გადაეგზავნოს კომპანია შპს „ქომუნითი სოფტ სოლუშენსს“ (ს/ნ: 405543470);

4. ბრძანება მისი ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე;

5. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

ლევან კალანდაძე

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი